საქმე №3/3215-20

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

12 აგვისტო, 2020 წელი **ქ. თბილისი**

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე მერი გულუაშვილი

მოსარჩელე: ააიპ „მწვანე ალტერნატივა“;

მოპასუხე: საქართველოს გარემოს დავისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

დავის საგანი - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

სასამართლომ ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელის წარმოებაში მიღების თაობაზე და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

2020 წლის 8 ივნისს ააიპ „მწვანე ალტერნატივამ“ სარჩელით მომართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს გარემოს დავისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა ამავე სამინისტროს 2020 წლის 17 მარტისN2-256 ბრძანების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 12 ივნისის განჩინებით სარჩელზე დადგინდა ხარვეზი და მოსარჩელეს დაევალა განჩინების სარეზოლუციო ნაწილში აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება.

2020 წლის 7 აგვისტოს განცხადებით მომართა მოსარჩელემ სასამართლოს, წარმოადგინა მოპასუხისთვისა და მესამე პირისათვის გადასაცემის სარჩელის.

სასამართლომ განიხილა სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხი,

გაეცნო წარმოდგენილ მასალებს და მიაჩნია, რომ სარჩელი პასუხობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის მოთხოვნებს და იგი მიღებულ უნდა იქნეს წარმოებაში.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26^2 მუხლის თანახმად, სასამართლო სარჩელის წარმოებაში მიღების ეტაპზე ამ კოდექსის 22-25-ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით წყვეტს სარჩელის დასაშვებობის საკითხს.

სასამართლო თვლის, რომ წარმოდგენილი სარჩელი აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-25-ე მუხლების მოთხოვნებს, რის გამოც სასარჩელო განცხადება დასაშვებად უნდა იქნეს ცნობილი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზედაც, სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი.

მოცემულ სარჩელში სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულ საქმეში, ა(ა)იპ ,,მწვანე ალტერნატივას" სარჩელის გამო, მოპასუხე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართ, მესამე პირად ჩაბმული უნდა იქნეს სს „ონის კასკადი“, ვინაიდან აღნიშნული პირი იმგვარად არის დაკავშირებული სადავო სამართალურთიერთობასთან, რომ სასამართლოს მიერ ამ დავის გადაწყვეტის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება გავლენას მოახდენს ამ ურთიერთობასთან დაკავშირებულ, კანონით დაცულ მის უფლებებსა და ინტერესებზე. ამდენად, სს „ონის კასკადი“ წარმოადგენს მოცემულ სადავო სამართალურთიერთობის მონაწილე პირს და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად ჩაბულ უნდა იქნეს მესამე პირად.

სასამართლო მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე უნდა დაინიშნოს მოსამზადებელი სხდომა, ვინაიდან არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველი (საფუძვლები), კერძოდ: საქმის არსებითი განხილვისათვის სათანადოდ მომზადების ინტერესებისათვის აუცილებელია მოსამზადებელი სხდომის ჩატარება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მოცემულ შემთხვევაში სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს საქმის

განხილვის ვადის გაგრძელებას 5 თვემდე.

სარეზოლუციო ნაწილი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-4, მე-13, მე-16, მე-19, 22-24-ე, 26^2-ე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 205-ე, 446-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ა(ა)იპ ,,მწვანე ალტერნატივას" სარჩელი მიღებული იქნეს სასამართლო წარმოებაში და ამ ეტაპზე დასაშვებად იქნეს ცნობილი;
2. №3/3215-20 ადმინისტრაციულ საქმეში მესამე პირად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით ჩაბმული იქნეს სს „ონის კასკადი“ ;
3. დაინიშნოს მოსამზადებელი სხდომა 2020 წლის 29 დეკემბერს, 11:00 საათზე, თბილისის საქალაქო სასამართლოში, სხდომის დარბაზი №29. მხარეები გამოძახებულ იქნენ სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად კანონით დადგენილი წესით;
4. დაევალოს მოპასუხეს 10 (ათი) დღის ვადაში წარმოადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და ადმინისტრაციული წარმოების მასალები;
5. №3/3215-20 ადმინისტრაციულ საქმის განხილვის საპროცესო ვადა გაგრძელდეს 5 თვემდე;
6. განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით, მხოლოდ საქმეში ჩაბმული მესამე პირის მიერ განჩინების ასლის ჩაბარებიდან 12 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოში (თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. №7ა) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №64), ხოლო დანარჩენ ნაწილში განჩინებაზე კერძო საჩივარი არ დაიშვება.

მოსამართლე **მერი გულუაშვილი**